CROSS GEORGIA ენდურო

რეგლამენტი

1. შეჯიბრის აღწერა

1.1 შეჯიბრის ტიპი

Cross Georgia წარმოადგენს მრავალდღიან "ჰარდ ენდურო" შეჯიბრს, რომელიც ტარდება სპეციალურად დაგეგმილ არასაერთო მოხმარების გზებზე და ბუნებრივ რელიეფზე.

შეჯიბრი მოიცავს ტყის ბილიკებს, კლდოვან მონაკვეთებს, ხეობებს, აღმართებს, დაღმართებს, ტექნიკურ დაბრკოლებებსა და რთული რელიეფის სხვა მონაკვეთებს, რაც მიმართულია სპორტსმენის გამძლეობის, ტექნიკური შესაძლებლობების, ნავიგაციის უნარებისა და მოტოციკლის საიმედოობის შემოწმებაზე.

ნებისმიერი ბუნებრივი ან წინასწარ გაუთვალისწინებელი დაბრკოლება ჩაითვლება შეჯიბრის ნაწილად და არ წარმოადგენს გასაჩივრების საფუძველს.

1.2 შეჯიბრის ხანგრძლივობა

შეჯიბრი შედგება **სამი (3) საშეჯიბრო დღისგან**.

თითოეული საშეჯიბრო დღე მოიცავს დაახლოებით **150–180 კმ სიგრძის საშეჯიბრო მონაკვეთს**, თუმცა ორგანიზატორს უფლება აქვს შეცვალოს დისტანცია ამინდის, უსაფრთხოების ან სხვა ფორსმაჟორული გარემოებების გათვალისწინებით.

1.3 დღის დროითი ლიმიტი

თითოეული საშეჯიბრო დღის მაქსიმალური ხანგრძლივობა განისაზღვრება **8 საათით**. ორგანიზატორს უფლება აქვს შეცვალოს დროის ლიმიტი ამინდის, უსაფრთხოების ან სხვა ფორსმაჟორული გარემოებების გათვალისწინებით.

დროის ამოწურვის შემდეგ მონაწილეს ჩაეთვლება იმ ფინიშის კატეგორია, რომლის გადაკვეთაც მან შეძლო დროის ლიმიტის ამოწურვამდე.

2. ფინიშების სისტემა

2.1 ფინიშების კატეგორიები

თითოეული საშეჯიბრო დღე დაყოფილია შემდეგ ფინიშებად:

ბრინჯაოს ფინიში (Bronze Finish)
ვერცხლის ფინიში (Silver Finish)
ოქროს ფინიში (Gold Finish)

ფინიშები წარმოადგენს სირთულისა და პროგრესის სხვადასხვა დონეს.

2.2 ფინიშის პრიორიტეტის წესი

ოქროს ფინიში უპირატესია ვერცხლისა და ბრინჯაოს ფინიშთან მიმართებაში, მიუხედავად მონაწილის დროისა და ჯამური ქულებისა.

ვერცხლის ფინიში ყოველთვის უპირატესია ბრინჯაოს ფინიშთან მიმართებაში, მიუხედავად მონაწილის დროისა და ჯამური ქულებისა.

2.3 ფინიშერის სტატუსის განსაზღვრა

შეჯიბრის დასრულების შემდეგ მონაწილეს მიენიჭება შესაბამისი ფინიშერის სტატუსი სამივე საშეჯიბრო დღის განმავლობაში მიღწეული ფინიშების კომბინაციის მიხედვით.

ოქროს ფინიშერი (Gold Finisher)

სტატუსი მიენიჭება მონაწილეს, რომელიც შეჯიბრს დაასრულებს ერთ-ერთი შემდეგი კომბინაციით:

- Gold + Gold + Gold
- Gold + Gold + Silver

ვერცხლის ფინიშერი (Silver Finisher)

სტატუსი მიენიჭება მონაწილეს, რომელიც შეჯიბრს დაასრულებს ერთ-ერთი შემდეგი კომბინაციით:

- Gold + Gold + Bronze
- Gold + Silver + Silver
- Gold + Silver + Bronze
- Silver + Silver + Silver
- Silver + Silver + Bronze

ბრინჯაოს ფინიშერი (Bronze Finisher)

სტატუსი მიენიჭება მონაწილეს, რომელიც შეჯიბრს დაასრულებს ერთ-ერთი შემდეგი კომბინაციით:

- Bronze + Bronze + Gold
- Silver + Bronze + Bronze
- Bronze + Bronze + Bronze

ფინიშერის სტატუსის მინიჭება არ არის დამოკიდებული დაგროვებული ქულების მინიმალურ ან მაქსიმალურ ზღვარზე. ქულები გამოიყენება მხოლოდ მონაწილეთა საბოლოო კლასიფიკაციის განსაზღვრისთვის მათ მიერ მოპოვებული ფინიშერის სტატუსის შესაბამისად.

2.4 ფინიშერის სტატუსის მინიჭების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მონაწილის მიერ თითოეულ საშეჯიბრო დღეს ნებისმიერი ფინიშის კატეგორიის (Bronze, Silver ან Gold Finish) დაფიქსირება.

იმ შემთხვევაში, თუ მონაწილეს რომელიმე საშეჯიბრო დღეს არ ექნება დაფიქსირებული ფინიში, მას ფინიშერის სტატუსი არ მიენიჭება.

2.5 ფორსმაჟორული გარემოების, უსაფრთხოების, ბუნებრივი პირობების ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო, იმ შემთხვევაში თუ სამი საშეჯიბრო დღიდან გაუქმდება ერთი საშეჯიბრო დღე, მსაჯთა კომისიას უფლება აქვს განსაზღვროს ფინიშერის სტატუსის მინიჭების წესი.

ფინიშერის სტატუსი შეიძლება განისაზღვროს ერთ-ერთი შემდეგი პრინციპის მიხედვით:

- ბოლო დასრულებული საშეჯიბრო დღის შედეგის მიხედვით;
- დაბალი ფინიშის პრინციპით;
- მაღალი ფინიშის პრინციპით.

დაბალი ფინიშის პრინციპი გულისხმობს მონაწილის მიერ დასრულებულ საშეჯიბრო დღეებს შორის მიღწეული ყველაზე დაბალი ფინიშის კატეგორიის გათვალისწინებას.

მაღალი ფინიშის პრინციპი გულისხმობს მონაწილის მიერ დასრულებულ საშეჯიბრო დღეებს შორის მიღწეული ყველაზე მაღალი ფინიშის კატეგორიის გათვალისწინებას.

3. ქულათა სისტემა

3.1 ქულების მინიჭების წესი

ქულები მონაწილეებს ენიჭებათ ყოველი საშეჯიბრო დღის ბოლოს შემდეგი პრინციპით:

1. მიღწეული ფინიშის კატეგორია;
2. შესაბამის ფინიშზე დაკავებული ადგილი;
3. მონაწილის მიერ დაფიქსირებული დრო.
4. მოცემული ტრაექტორიის გავლის სისწორე

3.2 ოქროს ფინიშის ქულები

ოქროს ფინიშის მონაწილეებს ენიჭებათ ქულები ოფიციალური ქულათა ცხრილის მიხედვით.

მაქსიმალური ქულა: **100**

1 ადგილი – 100 ქულა
2 ადგილი – 95 ქულა
3 ადგილი – 90 ქულა
4 ადგილი – 85 ქულა
5 ადგილი – 80 ქულა

ყოველი შემდეგი პოზიცია მინუს ერთი ქულა

3.3 ვერცხლის ფინიშის ქულები

ვერცხლის ფინიშის მონაწილეებს ენიჭებათ ქულები ოფიციალური ქულათა ცხრილის მიხედვით.

მაქსიმალური ქულა: **60**

1 ადგილი – 60 ქულა
2 ადგილი – 57 ქულა

3 ადგილი – 54 ქულა
4 ადგილი – 51 ქულა
5 ადგილი – 48 ქულა

ყოველი შემდეგი პოზიცია მინუს ერთი ქულა

3.4 ბრინჯაოს ფინიშის ქულები

ბრინჯაოს ფინიშის მონაწილეებს ენიჭებათ ქულები ოფიციალური ქულათა ცხრილის მიხედვით.

მაქსიმალური ქულა: **30**

1 ადგილი – 30 ქულა
2 ადგილი – 28 ქულა
3 ადგილი – 26 ქულა
4 ადგილი – 24 ქულა
5 ადგილი – 22 ქულა

ყოველი შემდეგი პოზიცია მინუს ერთი ქულა

3.5 საბოლოო კლასიფიკაცია

შეჯიბრის საბოლოო შედეგი განისაზღვრება ფინიშერის სტატუსით და **სამივე საშეჯიბრო დღის ქულათა ჯამით**. ამასთან ფინიშერის სტატუსი ქულათა ჯამთან მიმართებაში არის პრიორიტეტული.

მონაწილეს, რომელსაც სამი დღის დასრულების შემდეგ აქვს ოქროს ფინიშის სტატუსი და დააგროვებს ყველაზე მეტ ქულას, გამოცხადდება **Cross Georgia-ის გამარჯვებულად**.

შეჯიბრის საპრიზო (I, II და III) ადგილები განისაზღვრება იმ მონაწილეებს შორის, რომელთაც სამივე საშეჯიბრო დღის ჯამური შედეგის საფუძველზე მიენიჭებათ **„ოქროს ფინიშერის“ სტატუსი**, ხოლო საბოლოო კლასიფიკაცია შესაბამისი ფინიშერის სტატუსის გათვალისწინებით განისაზღვრება ჯამური ქულების მიხედვით.

დანარჩენ მონაწილეებს მიენიჭებათ შესაბამისი ფინიშერის სტატუსი მიღწეული შედეგისა და საშეჯიბრო დღეების ჯამური კლასიფიკაციის შესაბამისად.

3.6 ქულათა თანაბრობის წესი

ქულათა თანაბრობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება:

1. ბოლო საშეჯიბრო დღის უკეთეს შედეგს;
2. ჯამურად უკეთეს დროს (ფინიშების გათვალისწინებით)

4. სასტარტო პროცედურა

4.1 პირველი დღის სტარტი

პირველი საშეჯიბრო დღის სასტარტო განლაგება განისაზღვრება **რეგისტრაციის რიგითობის მიხედვით**.

მონაწილეები სტარტს აიღებენ ინდივიდუალურად, ორგანიზატორის მიერ განსაზღვრული ინტერვალით.

4.2 მეორე და მესამე დღის სტარტი

მეორე და მესამე დღის სასტარტო რიგითობა განისაზღვრება **წინა დღის შედეგების მიხედვით**.

უკეთესი შედეგის მქონე მონაწილეს ენიჭება უპირატესი სასტარტო პოზიცია.

5. GPS სისტემა და ნავიგაცია

5.1 GPS მოწყობილობა

შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად ყველა მონაწილე ვალდებულია აღჭურვილი იყოს ორგანიზატორის მიერ დაშვებული GPS მოწყობილობით:

Garmin Alpha Series

- Alpha 100

Garmin Colorado Series

- Colorado 300, 400c, 400i, 400t

Garmin Dakota Series

- Dakota 10, 20

Garmin Edge Series

- Edge 520, 530, 820, 830, 1030, 1030 Plus

Garmin eTrex Series

- eTrex Touch 25, 35
- eTrex 20, 20x, 22x
- eTrex 30, 30x, 32x
- eTrex 35t

Garmin Foretrex Series

- Foretrex 301, 401

Garmin GPSMAP Series

- GPSMAP 62, 62s, 62sc, 62st, 62stc
- GPSMAP 64, 64s, 64st
- GPSMAP 66s
- GPSMAP 76c, 76cs, 76csx, 76cx
- GPSMAP 78, 78s, 78sc

Garmin Montana Series

- Montana 600, 610, 630, 650, 650t, 680, 700i, 750i

Garmin Monterra Series

- Monterra 010-01065-00, 010-01065-03

Garmin Nüvi Series

- Nüvi 500, 550

Garmin Oregon Series

- Oregon 200, 300, 400c, 400i, 400t
- Oregon 450, 450t, 550, 550t
- Oregon 600, 600t, 650, 650t
- Oregon 700, 750

Garmin Rino Series

- Rino 610, 650, 655t

Garmin Zumo Series

- Zumo 220, 340LM, 550, 590LM, 660, 665

GPS მოწყობილობა უნდა იყოს სრულად გამართული, დამუხტული და მოტოციკლზე უსაფრთხოდ დამაგრებული სამივე საშეჯიბრო დღეს.

5.2 საშეჯიბრო მარშრუტი

ყოველი საშეჯიბრო დღის დაწყებამდე მონაწილეებს გადაეცემათ შესაბამისი დღის GPS ტრეკი.

მონაწილე ვალდებულია გადაადგილდეს მხოლოდ ორგანიზატორის მიერ განსაზღვრული საშეჯიბრო ტრაექტორიით.

მიზანმიმართული გადახვევა, მონაკვეთის ავლა ჩაითვლება რეგლამენტის დარღვევად.

5.3 GPS ტრეკის გადამოწმება

ყოველი საშეჯიბრო დღის დასრულების შემდეგ მონაწილე ვალდებულია წარადგინოს GPS მოწყობილობა ოფიციალური შემოწმებისთვის.

GPS მონაცემების საფუძველზე მოხდება:

- გავლილი ტრაექტორიის სისწორის გადამოწმება;

- საკონტროლო მონაკვეთების გავლა;
- ფინიშის დადასტურება;
- ტრაექტორიიდან გადახვევის გამოვლენა.

GPS მონაცემის წარმოუდგენლობის ან დაზიანების შემთხვევაში, ორგანიზატორს უფლება აქვს მონაწილეს არ ჩაუთვალოს შესაბამისი საშეჯიბრო დღე.

6. მონაწილეთა ვალდებულებები

6.1 რეგისტრაცია

მონაწილე ვალდებულია გაიაროს ოფიციალური რეგისტრაცია ორგანიზატორის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ღონისძიებაზე რეგისტრაცია განხორციელდება: www.motofederation.ge

„ქროს ჯორჯიას“ თითეული მონაწილე ვალდებულია ქონდეს საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაციის ერთჯერადი ლიცენზია. ერთჯერადი ლიცენზიის საფასური 2026 წლის მდგომარეობით არის 50 ლარი და ლიცენზიის აღება აუცილებელია შეჯიბრამდე ღონისძიებაზე რეგისტრაციის დროს, სალიცენზიო რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია www.motofederation.ge

6.2 ბრიფინგი

ყველა მონაწილისთვის სავალდებულოა ოფიციალურ ბრიფინგზე დასწრება.

ბრიფინგზე არდასწრება შეიძლება გახდეს შეჯიბრზე არდაშვების საფუძველი.

არასრულწლოვანი მონაწილეების შემთხვევაში: მონაწილე რეგისტრაციაზე/ბრიფინგზე უნდა გამოცხადდეს მშობელთან/მეურვესთან ერთად, თან იქონიოს დაბადების მოწმობა ან მისი ასლი და მშობლის/მეურვის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. მშობელი/მეურვე სრულად

აცნობიერებს შეჯიბრში მონაწილეობის რისკებს და საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ რთავს ნებას არასრულწლოვანს მიიღოს მონაწილეობა არსებულ შეჯიბრში.

6.3 უსაფრთხო გადაადგილება

მოტოციკლი უნდა აკმაყოფილებდეს საერთო მოხმარების გზებზე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა წესს: უნდა ჰქონდეს სანომრე ნიშანი, მიმმართველები და შესაბამისი სანათები.

მონაწილეს უნდა ჰქონდეს შესაბამისი მართვის მოწმობა,

საშეჯიბრო გზის იმ მონაკვეთებზე, რომლებიც კვეთს საერთო მოხმარების გზას, მონაწილე ვალდებულია დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოძრაობის წესები.

არასრულწლოვანის შემთხვევაში მშობელი/ მეურვე (ან მის მიერ ორგანიზებული დამხმარე მანქანა) ვალდებულია მოახდინოს მონაწილის და მისი მოტოციკლის უსაფრთხო ტრანსპორტირება საერთო მოხმარების გზაზე.

6.4 სპორტული ქცევა

მონაწილე ვალდებულია დაიცვას სპორტული ეთიკის ნორმები.

აკრძალულია:

- სხვა მონაწილის მიზანმიმართული შეფერხება;
- აგრესიული ქცევა;
- უცენზურო სიტყვების გამოყენება;
- ტერიტორიის დაბინძურება;
- ოფიციალური პირების მითითებების დაუმორჩილებლობა.

7. მოტოციკლის კლასიფიკაცია

7.1 დაშვებული მოტოციკლები

შეჯიბრში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ტიპის **Enduro** და **Motocross** ტიპის ორბორბლიან მოტოციკლს, რომელიც ტექნიკურად გამართულია და განკუთვნილია უგზოობის პირობებში გადაადგილებისთვის.

7.2 საერთო კლასი

Cross Georgia ტარდება **ერთი საერთო კლასის (Overall Classification)** ფორმატში.

მოტოციკლები არ იყოფა ძრავის მოცულობის, ტექნიკური მახასიათებლების ან მოდელის მიხედვით. ყველა მონაწილე კლასიფიცირდება ერთ საერთო შედეგებში.

7.3 ტექნიკური მოთხოვნები

მოტოციკლი უნდა იყოს:

- ტექნიკურად გამართული;
- უსაფრთხო ექსპლუატაციისთვის ვარგისი;
- აღჭურვილი მოქმედი სამუხრუჭე სისტემით;
- გამართული საჭითა და დაკიდების სისტემით;
- გამართული საბურავებით, რომლებიც განკუთვნილია ენდუროს/ოფროუდ პირობებისთვის.

8. დახმარების წესები

8.1 დამხმარე ავტომობილი/გუნდი

მონაწილე ვალდებულია ჰყავდეს დამხმარე ავტომობილი (Support Car), რომელიც უზრუნველყოფს:

- საწვავის მიწოდებას;
- ტექნიკურ დახმარებას;
- კვებას;
- ევაკუაციას საჭიროების შემთხვევაში.

8.2 დახმარების შეზღუდვა

გარეშე პირის დახმარება საშეჯიბრო მონაკვეთზე აკრძალულია, გარდა ორგანიზატორის მიერ წინასწარ განსაზღვრული ადგილების.

მონაწილეებს შორის ურთიერთდახმარება ნებადართულია.

8.3 ევაკუაცია

შეჯიბრის შეწყვეტის შემთხვევაში მონაწილე ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ორგანიზატორს და მოახდინოს საკუთარი თავისა და მოტოციკლის უსაფრთხო ევაკუაცია.

9. დისკვალიფიკაცია და სანქციები

9.1 დისკვალიფიკაციის საფუძვლები

მონაწილე ექვემდებარება დისკვალიფიკაციას შემდეგ შემთხვევებში:

- GPS ტრეკის განზრახ შეცვლა ან გაყალბება;
- საშეჯიბრო გზის განზრახ ავლა;
- სხვა მოტოციკლით შეჯიბრის გაგრძელება;
- სპორტსმენის შეცვლა;
- არაფხიზელ მდგომარეობაში მონაწილეობა;
- უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევა;
- ოფიციალური პირების დაუმორჩილებლობა;

9.2 სანქციები

დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე ორგანიზატორს უფლება აქვს გამოიყენოს:

- დროითი ჯარიმა;
- ქულების შემცირება;
- დღის შედეგის გაუქმება;
- სრული დისკვალიფიკაცია.

10.ორგანიზატორის/პრომოუტერის ვალდებულებები.

10.1ორგანიზატორი/პრომოუტერი ვალდებულია: მოახდინოს შეჯიბრის მართებული დაგეგმარება, შესაბამისი გარემოფაქტორების გათვალისწინებით, უშუალო კოორდინირება გაწიოს შეჯიბრის მოსამზადებელ სამუშაოებსა და შეჯიბრის მსვლელობის დროს.

10.2ორგანიზატორი/პრომოუტერი ვალდებულია: მონაწილეებს წინასწარ აცნობოს შეჯიბრთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაცია და რისკფაქტორები.

10.3ორგანიზატორი/პრომოუტერი ვალდებულია: შეჯიბრისთვის გამოყოს პერსონალის განსაზღვრული რაოდენობა.

10.4 ორგანიზატორი/პრომოუტერი ვალდებულია: მაყურებლისათვის წინასწარ განსაზღვროს და გამოყოს ადგილი/ები.

10.5 ორგანიზატორი/პრომოუტერი ვალდებულია წინასწარ განსაზღვროს სასტარტო და ფინიშის ადგილები, ასევე მონაწილეს მიაწოდოს ინფორმაცია საწვავის ჩასასხმელად და დასახმარებლად გამოყოფილ ადგილებზე.

11. რეკომენდაციები

11.1 მონაწილეებისათვის რეკომენდირებულია, გარდა აუცილებელი ეკიპირებისა აღჭურვილნი იქნან სხვა სპეციალური დამცავებით (გულმკერდის დამცავი, საწვიმარი...)

11.2 მონაწილეებისთვის რეკომენდირებულია შეადგინონ 2-4 კაციანი გუნდი და შეჯიბრის მსვლელობის დროს დაეხმარონ ერთმანეთს.

11.3 გამომდინარე რთული საშეჯიბრო გზიდან, რაც მოითხოვს შეჯიბრის მსვლელობის დროს სპორტსმენის სრულ ფიზიკურ დატვირთვას, რეკომენდირებულია მონაწილემ წინასწარ განსაზღვროს პირადი ჯანმრთელობის მდგომარეობა და იმოქმედოს შესაბამისად მისი ფიზიკური მონაცემებისა.

11.4 გამომდინარე რთული საშეჯიბრო გზიდან, რეკომენდირებულია მონაწილემ წინასწარ მოამზადოს თავისი მოტოციკლი და დარწმუნდეს მის ტექნიკურ გამართულობაში.